# სახალხო გაზეთი

№ 878 ხუთშაბათი, 25 აპრილი 1913 წ. № 878

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ცალკე ნომრის ფასი 5 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინოს ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი. ქართული „სახალხო გაზეთი“. 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



მიიღება ხელის-მოწერა
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

თვეში ღირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ).

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემიები „უცხოეთის მწერლები“ და „ქართველ ერის ისტორია“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. უნდა გადახდილი იყოს 1 ენკენისთვემდე.

(საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.)

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.


კვირას, 28 აპრილს,

## არჩილ ჯორჯაძის

გარდაცვალების მე-40 დღეს, დიდუბის ეკლეს. გალავანში, განსვენებულის საფლავზე, დილის 11 საათზე, გადახდილ იქნება პანაშვიდი.
1176

მღვდელი ანტონ და მეუღლე მისი მაკრინე ლომოურები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი—ძვირფასი შვილის და მეორენი—საყვარელი ძმის გორის გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფის

## ილუშას

გარდაცვალებას. წირვა და პანაშვიდი ხუთშაბათს, 25 აპრილს, გორის ოქონის ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე დღეს გორის სასაფლაოზე.
244.


ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

ბ. ბეგლარიძის წარმოდგენა. ხუთშაბათს, 25 აპრილს, 1913 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ვასილ აბაშიძის და ვიქტორ გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ი. გედევანიშვილისა

მსხვერპლი

მოძრაობის დროის სცენები სოფლის ცხოვრ. ბიდან 3 მოქმედებად. მეორე მოქმედებაში იმღერებს ქართველ მომღერალთა გუნდი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ ს.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. მიზან-სცენები ვალ. შალიკაშვილისა.
1171 რეჟისორი ვალ. გუნია.

კვირას, 28 აპრილს, 913 წელს
ქართულ თეატრის დარბაზში

ბ. ი. ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

„გონივრული აღზრდა-განათლების საფუძველი“

ეს ლექცია დანიშნული იყო 25 მარტისთვის, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო გადაიდო.

მოკლე შინაარსი: რა არის აღზრდა-განათლება? თანამედროვე ოჯახი და სკოლა. ახალგაზრდობის ზნეობრივი რყევის მიზეზები. თავის მოკვლა ახალგაზრდათა შორის და ამ მოვლენის მიზეზი. აღზრდა განათლების ძირითადი რეფორმების საჭიროება. მომავალ ოჯახის და სკოლის იდეალი. ახალი სკოლის მაგალითები ევროპასა და რუსეთში. კავშირი მომავალ სკოლისა და ოჯახ შორის. 25 მარტისთვის აღებული ბილეთები გამოდგება 28 აპრილისთვის ბილეთები ძლიერ დაკლებულ ფასებში იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი დილის 12 საათზე.
1175.

ქარხნის მარკა

კონიაკი და ლიკორი
ს. ს. შამრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166.
1570

ამერიკულ ვაზის სანერგეები
„გიორგის შრომა“

დამზადებულია მრავალი ვაზის ნამყენი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ევროპიული ჯიშებისა. ასი 5 მანეთი. შეიძლება ნახევარის ფასდადებითაც გაიგზავნოს. მისამართი:
Ст. Гоми, Георгію Бетановичу Татіеву.
1142

7 აპრილდან, გაიხსნა
საათებისა და საქონლის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზია, ფირმით

„სოლოტატი“

სოლოლაკის ქუჩაზე, ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ახალ სახლში.

ჩემი 25 წლის პრაქტიკა კავკასიის საათებისა და საქონლის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიის გამგეს თანამდებობაში, საქმის ცოდნა და აგრეთვე ახალ-ახალი საქონელი, რომელიც მაღაზიაში აწყვია ცნობილ ფირმების უმაღლესი ხარისხისა, ნებას მაძლევს იმედი ვიქონიო ტფილისის საზოგადოების ყურადღებისა, რომელიც სავსებით დარწმუნდება საქონლის კეთილსინიდისიერ გაყიდვაში.
1143 არტემ ბოგდანოვიჩ ოვჩიევი.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა, იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინით, რძის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., № 23 (განჯის ქ. კუთხე).
ტელეფ. № 7—93. 97
დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფია მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. |
| | მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. |
| | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—1 ს. |
| | ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| | ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი ვ. ლ. კონსულტაცი ყოველ დღე 11½—12½. |
| | მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. |
| | ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12. |
| | თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2. |
| | მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—. |
| | სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე 1—1. |
| ბავშვთა სნეულ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ |
| | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. |
| | ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | გედევანიშვილი. მ ა. შაბათობით 10½—11, |
| | ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 |
| | ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. |
| | ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შ ღავათიანი საფასურით.
წ. 1035

## სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ასპისოვი. ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არღუთინსკი, ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
აბულადიანი ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—4 ს.
ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., 4—5 ს.
ვესელოვზოროვი სადოსტაქრო ყოველ დღე 3—4 საათ.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. ყოველ დღე 2 3 ს.
გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ბაღდოევი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1—2 ს.
ექ. ქალ. იოსელიანი ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ., ყ.-დღ. 12—1 საათ.
ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.
ა. პ. მხითარიანცი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ქალური და სამშობიარო ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.
ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტაცი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.
ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა; 11½—12½ საათ.
შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1½ 2½ ს.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპოლიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.
ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით. 1053

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20.
წ. 1092

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 191

ექიმი შ. ა. მიქელაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ. ულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ცივება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ სნეულ. ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს., საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. შეწამლ. სისხლს. იღებს ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საავადმყ. განყოფ. პირდაპირ. 102

ქუთაისში
ექიმი ვ. თ. ტყეშელაშვილი.
ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

კბილის
ექიმი ა. ვ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12 1334

## საგურამოზე

მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაწილებად ხელსაყრელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სოლოლაკს ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს-ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ბუფეტი „სატივო“

ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.

აზიური საჭმელები
ახალის სანოვაგისა

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის.

ფასები ძლიერ ზომიერია. 1114


...ლე გადაუხადა თავის წევრს, მხატვარს შამშინოვს.

სანატორიუმი კანტორის ი. ქალაქის გამგეობამ, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, მთავრობას ახ უცნით მიმართა, ნება დართოს, ტფილისში ახალი სანატორიუმ კანტორები დააარსოს.

მევენახეობა და მეღვინეობა. მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის მთავარმა სამმართველომ დაამტკიცა წესდება მევენახეობისა და მეღვინეობის პრაქტიკულ სკოლისა, რომელიც დაარსდა საქარის სანერგესთან. სკოლის კურსი ორ წლიანია. სკოლაში მიიღებენ ყველა წოდების პირს წლოვანებით არა ნაკლებ 15 წლისას. უპირატესობა კავკასიელთ მიეცემათ. მოსწავლეთა კონტინგენტი იქნება 20—25 კაცი. ყველა პანსიონერად იქნება. სკოლაში ასწავლიან მევენახეობას, მეღვინეობას, მებაღეობას, მეხილეობას, მეაბრეშუმეობას, კალათების ქსოვას, დურგლობას და სხვა. კურს დამთავრებულნი მოვალენი არიან იმსახურონ იქ, სადაც მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი დანიშნავს, იმდენ ხანს, რამდენის ხანს განმავლობაშიც ისინი სასწავლებელში იყვნენ. მიწათ-მოქმედების სამმართველო სკოლას ყოველ-წლიურად 2,300 მან. მისცემს. სხვა ხარჯები საქარის სანერგის შემოსავლით დაიფარება.

სახაზინო მიწებზე გლეხთა დასახლების საქმის მოსაწესრიგებლად განზრახულია, დაარსდეს კავკასიაში 80 ახალი თანამდებობა მოურავებისა: 12 ბაქოს გუბერნიაში, 4 ქუთაისისაში, 3—შავის ზღვისაში, 19—თერგის ოლქში, 3—ყუბანისაში, 20—დაღესტნისაში, 10 ყარსისაში, 5—ბათომისაში, 3—ზაქათალისაში და 1—სოხუმისაში. ყოველ შუამავლს ერთი თარჯიმანი ეყოლება. აგრეთვე დაარსდება თარჯიმანის ახალი თანამდებობა: 7—ტფილისის გუბერნიაში, 17—ქუთაისისაში. აგრეთვე დაარსდება ზემოხსენებულ გუბერნიებსა და ოლქებში საგლეხო საკრებულოები. ამასთანავე მეფის მოადგილის კანცელარიაში დაარსდება ორი ახალი თანამდებობა საგანგებო მინდობილებათა მოხელეებისა სასოფლო საქმეების საწარმოებლად. თვითეულს მოხელეს ჯამაგირად ექნება 4,000 მან. წელიწადში.

ხმოსანი ექიმი მ. ვ. ლუნკევიჩი მძიმედ ავად გახდა ფილტვების ანთებით. ავადმყოფს ოპერაცია გაუკეთეს და ახლა უკეთ გრძნობს თავს. გუშინ ქალაქის მოურავმა საბჭოს დავალებით ავადმყოფს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც ჩქარა განკურნება უსურვა.

მე-13 ლეიბ-გრენადერთა ერევნის პოლკი 26 აპრილს მანგლისიდან ტფილისს ჩამოვა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, პოლკს სოლოლაკშივე მიეგებოს და მიართვას ხატები ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოსი და სომეხთა განმანათლებელ წმ. გრიგოლისა. ამ დღეს საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი ერევნის მოედანზე სადღესასწაულო პარაკლისს გადაიხდის.

ტფ. საბირჟო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, დააარსოს ჯულფაში ხაზინა. შუამდგომლობაზე უარი მიიღო.

მესაქონლეთა კრების მოწვევა წელს არის განზრახული ტფილისში. კრების პროგრამისა და დებულებათა შემუშავებას უკვე შეუდგა საბირჟო კომიტეტი, რომლის თაოსნობითაც მოწვეულ უნდა იქნას ეს კრება.

გუშინ ქალაქის მოურავმა გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ავლაბრის მეხუთე გიმნაზიის საპატიო მზრუნველად გამგეობის წევრი მ. ნ. ათაბეგოვი იქმნა არჩეული.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ფრინველთა მომშენებელ საზოგა-

## ახალი ამბავი
### ტფილისი

სამსონ ფირცხალავა, რომელიც ადმინისტრატიული გადასახლებისაგან გაანთავისუფლეს, უკვე ჩამოვიდა ტფილისში.

საქალაქო სტიპენდიები. მომავალ სამოსწავლო წლიდან უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთათვის საქალაქო სტიპენდიები გადიდებულ იქნება. განსვენებულ მირზოევის სახელობაზე დღემდე არსებობდა 35 სტიპენდია, დღეის შემდეგ, მირზოევის მიერ დატოვებულ პაიების განაღდების გამო, იქნება 70 სტიპენდია. სტიპენდიის მიღების მსურველებმა თხოვნით უნდა მიმართონ ქალაქის გამგეობას 5 მაისამდე.

ეკლესია-ძეგლი. კიროჩნი და ნიკოლოზის ქუჩის კუთხეში აგებს ეკლესია-ძეგლი რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს აღსანიშნავად. ეკლესიას აკურთხებს კვირას, 28 აპრილს, საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი, გორის ეპისკოპოს ანტონისა და ერევნის ეპისკოპოს პიმენის თანამწირველობით.

კავკასიის სათავადო მადნის სამმართველოს წარსულ მარტის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 649,834 მან. 47 კაპ.

საგანგებო ხელოვნებათა წამქეზებელმა საზოგადოებამ 23 აპრილს 25 წლის მოღვაწეობის იუბი-

დოებას 25 მან. მისცეს. ეს ფული ჯილდოდ უნდა მიეცეს იმ პირს, რომელმაც ფრინველთა გამოფენაზე წარადგინა გაუმჯობესებულ აქაურ ჯიშის ფრინველები.

✦ **სეირნობა.** მეფის მოადგილის თანაშემწის მეუღლის მ. პ. შატილოვის თაოსნობით, 13 მაისს დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია-ალეგრი გაიმართება მეორე საკომერციო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

✦ **საბირჟო ცნობები.** 24 აპრილს შეთანხმება არ მომხდარა. სარგებლიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 70 კ., აძლევენ—85 მან. 50 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. 25 კ. აძლევენ—82 მან. 75 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან., 25 კ., აძლევენ—78 მან.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** მორიგი კრება შესდგება პარასკევს, 26 აპრილს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. სამთო ინჟ. კანდ. გეოლოგი თ-დ სვ. ციციშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „საქართველოს მინერალური სიმდიდრენი, მათი გამოკვლევისა და მოხმარების საჭიროება და კვლევის პრაქტიკული გზა". მომხსენებელი შეეხება ორ საგანს: 1) ქართულ საადგილ-მამულო ბანკებთან „გეოლოგიურ კომისიის" დაარსების საჭიროებას, 2) ქართულ მუზეუმთან „გეოლოგიურ-მინერალოგიურ" განყოფილების მოწყობას.

მოხსენების შემდეგ გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კრება დახურულია—დაესწრებიან საზოგადოების წევრნი და მოწვეული პირნი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **კავკასიის სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენელთა კრება** ტფილისში მოკლე ხანში მოხდება. კრების მოწვევას კისრულობს ფრინველთა მომშენებელი საზოგადოება, რომელიც კრებას მისცემს წინადადებას: შეიძინოს ტფილისში შენობა სხვა და სხვა გამოფენის გასამართავად.

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობის კრება დანიშნულია დღეისთვის. გამგეობა, სხვათა შორის, მსჯელობას იქონიებს ილიას საღამოს შესახებ, რომელიც 5 მაისს უნდა გაიმართოს.

საზოგადოების გამგეობამ გუშინ მიიღო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 1912 წლის ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, სჩანს: განყოფილებას საანგარიშო წელს ჰყოლია 375 წევრი; განყოფილების გამგეობას, რომელიც 12 კაცისაგან ყოფილა შემდგარი, წლის განმავლობაში 20 კრება ჰქონია. გამგეობის მოქმედება საანგარიშო წელს უმთავრესად გამოხატულია: 1) განყოფილების ნივთიერ ღონის-ძიებათა გაძლიერებისთვის ზრუნვასა, 2) სახალხო წიგნთ-საცავ სამკითხველოების დაარსებასა, 3) წიგნსაცავ-სამკითხველოების წარმოების გაუმჯობესებისთვის ზრუნვასა, 4) სამკითხველოებისთვის ნივთიერ დახმარების აღმოჩენასა, 5) სახალხო სკოლებისთვის ნივთიერ დახმარების აღმოჩენასა, 6) წიგნების გამოცემასა და 7) საკუთარ სტამბის დაარსებისთვის ზრუნვაში. საანგარიშო წელს განყოფილებას შემოსავალი ჰქონია 3.330 მან 90 კ., ხარჯი—1,213 მან. 22 კ., 1913 წლის დამდეგს ბანკში ნაღდ ფულად ჰქონია 2,117 მან. 68 კ. განყოფილების გამგეობას აზრად აქვს, 1913 წლის განმავლობაში, რაც შეიძლება, უკეთ მოაწყოს სამკითხველოების საქმე, გამოსცეს მრავალი საყმაწვილო სასოფლო-სამეურნეო წიგნაკები, დაარსოს სტამბა და გახადოს ის მუდმივ შემოსავლის წყაროდ.

✦ **სახალხო კითხვათა საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა, 28 მაისს ბავშვებისთვის ექსკურსია მოაწყოს ხუდადოვის ტყეში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 300 მეტი ბავშვი. დილის 10 საათზე ბავშვები ბაირაღებითა და მუსიკით ავჭალის აუდიტორიიდან საექსკურსიოდ გაემგზავრებიან.

საზოგადოების წლიური კრება 6 მაისისთვის დაინიშნა. კრებამ უნდა განიხილოს 1912 წ. მოქმედების ანგარიში, 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და საზოგადოების წესდების შეცვლის საკითხი.

✦ **საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა კრების** მოწვევის გამო, 23 აპრილს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში კრება ჰქონდათ ტფ. სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლებს. არჩეულ იქმნა კრების მომწვევი კომიტეტი, რომელსაც პირველი კრება 27 აპრილს ექნება. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს—მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი, მის ამხანაგებად—ა. ა. ქალანთარი და ა. ი. ხატისოვი, მდივნად—ინჟინერი ვასილიევი, მის ამხანაგად—მ. მ. აღაჯანოვი.

✦ **საბირჟო კომიტეტის** კრება დღეს მოხდება. განიხილავს კომიტეტის არტელის ანგარიშს და ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის დაარსების საკითხს.

✦ **ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების** საბჭომ გადასდო: 1,000 მან. თეკლათის მონასტერში სენაკების ასაგებად, 500 მან. ზემოთიანეთის სკოლის შენობის ასაგებად. ამას გარდა დაადგინა, გამოიკვლიოს, რამდენი მოუნდება ამილახვრიანთ-კარის ეკლესიის (საქართველოს სამხედრო გზაზე) აღდგენას და საჭირო ფული შემდეგ გადადოს.

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება 26 აპრილს მოხდება. კომისიამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი: სად აავოს განსვენებულ შიოევის სახელობის სახელოსნო სკოლის შენობა. დღემდე აპირობდენ, ამ სკოლისა და აწ არსებულ სახელოსნო სკოლის შენობა ერთს მიწაზე აეგოთ, ახლა კი განზრახვა აქვთ, საკუთარს მიწაზე ააგონ.

კომისიაში აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ გაუქმდეს საქალაქო სკოლების გამგე მასწავლებელ ქალთა თანაშემწეების თანამდებობა.

## სოფლად.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ სოფ. კავთისხევის მცხოვრებნი ფრიად უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი, რადგანაც ბორნის პატრონი ყურადღებით არ ექცევა მცხოვრებთ და არა სცდილობს ადიდებულ მტკვრის ტოტზე მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანა მოაწყოს.

✦ როგორც ზემონიჩბისიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, იქ საქონლის ჭირი მძვინვარებს.

# ქართული ოპერა

27 აპრილისთვის ბ-ნი ზ. ფალიაშვილი ქართულ საზოგადოებას სამუსიკო დღესასწაულს უმზადებს: პირველად უნდა მოვისმინოთ შემუშავებული ქართული ოპერის ერთი აქტი. ამ სტრიქონების დამწერს შემთხვევა ჰქონდა დასწრებოდა ერთს რეპეტეციას და ძალიან კმაყოფილიც დარჩა. მუსიკის ღირსების მხრით დაე იმან დააფასოს, ვისაც შესაფერისი ცოდნა აქვს, მაგრამ ჩემზე, როგორც მუსიკის მოყვარულზე, ფალიაშვილის ოპერამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და დამარწმუნა, რომ ამ ოპერის დადგმით ქართულ მუსიკის ახალი ხანა იწყება.

ოპერის შინაარსი ხალხის თქმულებიდანაა აღებული. მოთხრობილია აბესალომისა და ეთერის სიყვარულის ამბავი.

ძველ საქართველოში სცხოვრობდა აბო მეფე, რომელსაც ჰყავდა ვაჟი აბესალომ და ქალი მარიხ ვარსკვლავი. ერთხელ მეფის ძე აბესალომი სანადიროდ წავიდა, თან ახლდა ამალა და სხვათა შორის მურმან ვეზირიც. დაბურულს ტყეში აბესალომი შეხვდა წყლის პირს ძონძებში გახვეულს მშვენიერს ეთერს, რომელიც დედინაცვლის ბრძანებით ძროხას აძოვებდა. აბესალომი, მისი სილამაზით დატყვევებული, ცოლად გაყოლას სთხოვს, მაგრამ ეთერი უარს ეუბნება ӧ ტყეში იმალება. მურმანსაც შეუყვარდება ეთერი ӧ გადასწყვეტს, როგორმე მისი გული მოიგოს. მეფის ძე ამალით მიდის ეთერის დედინაცვლის სახლში ӧ ჰნახავს მტირალს ეთერს, დედინაცვლისაგან შეწუხებულს. აბესალომი მეორედ სთხოვს ეთერს ცოლობას და სიყვარულის ნიშნად აჩუქებს ოქროს დანას. ეთერი დასთანხმდება და საჩუქარსაც მიიღებს. მეფე აბიო სიხარულით ეგებება აბესალომის დაცოლიანებას და გადასცემს მას გვირგვინს, იმართება დიდებული ქორწილი, ცეკვა და სიმღერა. მურმანი ეთერის გათხოვებით შეწუხებული ტყეში დაეხეტება თავის ციხის გარემო და შეხვდება მავნე სულს ბელიარ ეშმაკს. ბელიარი მურმანს შველასა ჰპირდება და აღუთქვამს ლამაზს ეთერის მიცემას, თუ მურმანი მას დედის სულს მისცემს. დიდი ყოყმანის შემდეგ მურმანი დასთანხმდება და შეჰფიცავს, ბელიარ ეშმაკი კი აძლევს მაჯუნს, რის საშუალებითაც ეთერი დროებით ძალიან ავად ჰხდება. მეფე აბესალომი გაიგებს ეთერის ავადმყოფობას და თავის უბედურებას სტირის, სეფე ქალთ გამოჰყავთ ავადმყოფი დედოფალი ეთერი, რომელიც მეფესა სთხოვს, დაითხოვოს იგი, რადგან ავადმყოფობისა გამო დედოფლად აღარ უნდა იყოს. ამასვე სთხოვენ აბესალომს მისი დედა ნათელა, და მარიხ ვარსკვლავი და მახლობელნი. აბესალომი ყოყმანის შემდეგ დასთანხმდება და ამალას ჰკითხავს: ვისა ჰსურს ეთერის წაყვანა, ვეზირი მურმანი ამალიდან წინ წამოვა და მეფეს მოახსენებს, რომ მასზე უკეთესს მფარველს ეთერისათვის ვერ მოსძებნიან და რომ ამისთანა პატივისათვის საუკუნოდ იქნება აბესალომის მადლობელი. აბესალომი მურმანის ასეთს საქციელს არ მ.უღლის და გადასწყვეტავს დედოფალი ეთერი მას გადასცეს. მურმანს ეთერი სასახლიდან თავისთან მიჰყავს. ეთერი ბელიარის დაპირებისამებრ მალე განიკურნება. აბესალომი ეთერის დარდით ავადა ხდება. ერთხელ მურმანის სახლის ახლოს გაივლის და გაიგებს, რომ ეთერი განკურნებულა. აბესალომი გადასწყვეტს მურმანი საომრად გაგზავნოს იმ მიზნით, რომ ის ომიდან ცოცხალი აღარ დაბრუნდეს და ამნაირად ეთერი უკანვე დაიბრუნოს. მურმანი საომრად მიდის, აბესალომი ეთერს სთხოვს, თავისი დედისა და დის საშუალებით აბესალომთან დაბრუნდეს. ეთერს აბესალომისადმი სიყვარული განუცხოველდება და ავადმყოფი აბესალომის სანახავად წავა. ეთერი ვერ უძლებს მწუხარებას მომაკვდავი აბესალომის დანახვაზე, ამოიღებს მის ნაჩუქარ დანას, გულში დაიკრავს და ორივე ერთად კვდებიან.

ასეთია შინაარსი პირველი ქართული ოპერისა.

27 აპრილს წარმოდგენილი იქნება მესამე მოქმედება, ე. ი. ის ადგილი, როდესაც მეფე აბესალომი გაიგებს ეთერის ავადმყოფობას და იძულებული გაჰხდება საყვარელი ცოლი დაითხოვოს.

გარდა ამ მოქმედებისა, კონცერტის მესამე განყოფილებაში, სხვადასხვა ავტორთა ქართულ ნაწარმოებებს გარდა, შესრულებენ ნომრებს იმავ ოპერის დანარჩენ მოქმედებებიდან.

# ს. კაკაბაძის რეფერატზე

სამშაბათს, 23 აპრილს, ქართულ თეატრში დიდად საყურადღებო კ-მათი გაიმართა. ს. კაკაბაძემ ქართულად გაიმეორა თავისი მოხსენება შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და „ვეფხის ტყაოსნის" დაწერის დროის შესახებ, რომელიც ამას წინად მან ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებულ სამეცნიერო წრეში წაიკითხა რუსულად. კამათს ხელმძღვანელობდა ბ. გრ. რობაქიძე. თუმცა მთავარი აზრი ӧ დებულებანი ბ. კაკაბაძისა იგივე დარჩენილა, რაც რუსულად წაკითხულ მოხსენებაში, მაგრამ მას თითქოს ახალი რამეც დაურთავს მისთვის. ასე მაგ., ქართულ მოხსენებაში ნასახიც არ იყო იმ შეურყეველ მტკიცების კილოისა, რომელიც რუსულ მოხსენებას ახასიათებდა; ამასთანავე ბ. კაკაბაძეს თითქოს ახალი საბუთებიც მოუძებნია თავის დებულების დასამტკიცებლად. მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკეს: ი. აბულაძემ, ს. გორგაძემ, დ. კარიჭაშვილმა და მ. ჯანაშვილმა, დასასრულ კი კამათის ხელმძღვანელმა. საყურადღებო იყო ბ. გორგაძის მოხსენება. იგი კვალ და კვალ მიჰყვა ბ. კაკაბაძის მოხსენების დებულებებს და უტყუარი საბუთებითა და მტკიცე მოსაზრებებით აშკარა ჰყო მათი უსაფუძვლობა, როგორც „ვეფხის ტყაოსნის" ნამდვილი სხეულის აღდგენით, ისე ისტორიულ უტყუარ საბუთების აღნუსხვით. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო მოხსენების ის ნაწილი, სადაც ბ-ნ გორგაძემ იშვიათის გამჭრიახობითა და ლოღიკით დაადასტურა, რომ „ვეფხის ტყაოსნის" ის ტაეპები, რომელსაც ბ-ნი კაკაბაძე ემყარებოდა თავის მოსაზრების გასამართლებლად, ყალბია და მერმინდელ ავტორთაგან უადგილოდ მიწებებული შეიქნა. თავის თავად დაირღვევოდა, რასაკვირველია, ბ. კაკაბაძის მთელი მოხსენებაც. მაგრამ ბ. გორგაძე ამით არ დაკმაყოფილდა. მან კრიტიკული თვალით შეხედა ბ. კაკაბაძის მიერ გამოკვლეულს ქართველ მეფეთა მე-XV საუკ. გენეოლოგიას და აღნიშნა, რომ ის სიგელები, რომლებსაც კაკაბაძე ემყარებოდა, ან ყალბია, ან შინაგანი წინააღმდეგობის მატარებელი. ბ-ნმა კარიჭაშვილმა ვრცლად მოიხსენია ის პირობები, თუ როგორ ირყვნებოდა დროთა განმავლობაში „ვეფხის ტყაოსნის" დედანი და დაადასტურა ბ. გორგაძის აზრი, რომ ის ტაეპები, რომელსაც ბ. კაკაბაძე იხსენიებდა, მართლაც არ ეკუთვნის შოთას კალამს. ბ. ჯანაშვილის აზრი საკამათო საგნის შესახებ ჩვენს გაზეთში უკვე იყო ფელეტონად დაბეჭდილი და აქ აღარ განვიმეორებთ. ბ. აბულაძეს ახალი არა შეუტანია რა საკითხის გაშუქების საქმეში.

ბ-ნმა გრ. რობაქიძემ დამასრულებელ სიტყვაში სთქვა: [illegible] გაისმოდა სიტყვა „სუბიექტიური მეთოდი", რომელსაც მისი წარმომთქმელი „დახავსებულად" რაცხდა. პირველად უნდა შევნიშნო, რომ სუბიექტიური მეთოდი არ არსებობს (თუ არ მივიღებთ ყურადსაღებად რუსეთის სოციოლოგიას, სადაც მეთოდი სხვა აზრით არის ნახმარი); არის მხოლოდ მეთოდი ობიექტიური, მეთოდი სინამდვილის აღდგენისა, და მაშასადამე ჭეშმარიტების საძებნი ხერხი.

ჩვენ მკვლევართა უბედურება სწორედ ისაა, რომ მათ არ აქვთ მტკიცეთ შემუშავებული მეთოდი. ისეთი დიადი მოვლენა, როგორიც არის რუსთაველი, მხოლოდ მრავალ მხრით შეიძლება განიხილოს მკვლევარმა და ძირამდე ამოსწუროს იგი. მაგრამ საუბედუროდ მისი მრავალ მხროვანი განხილვა დღემდე ჩვენ არა გვაქვს. ერთი და იგივე მოვლენა შესაძლოა განიხილოთ სხვა და სხვა მხრით, მაგრამ საჭიროა ამ სხვა და სხვა მხარეთა ჰარმონიით შეზავება. მაგალითად: სიტყვა „ნათარგმანები" შეიძლება სამნაირად განიხილოთ: ფილოლოგიურად (თუ რას წარმოადგენს ეს სიტყვა თავისთავად), ისტორიულად (თუ როგორ იხმარებოდა ეს სიტყვა ისტორიულად) და ესთეტიურად (თუ რას წარმოადგენს „თარგმნა" ხელოვნებაში). ამ სამმხარის ერთი მეორეში არევ-დარევა ხშირად ხდება ჩვენში. ერთი მხრით არ არის მკვლევარი, რომელშიაც შეერთებული იყოს ეს სამი მხარე,—და მეორის მხრით, თუ არის ამ სამი მხარის სხვა და სხვა წარმომადგენელი, მათში არ არსებობს საჭირო გამიჯვნა.

ამ არევ-დარევის დასურათებას წარმოადგენს რუსთაველის ქმნილების სიუჟეტის საკითხის განხილვა ჩვენში. აკად. მარრი ამტკიცებს, რომ „ვეფხის ტყაოსანი" გალექსვაა სპარსული საგმირო მოთხრობის ქართული თარგმანისა. შესაძლოა, ისტორიო-ფილოლოგიურად ეს მართალიც იყოს, მაგრამ ამით რუსთაველის ორიგინალობის საკითხი სრულებით არ სწყდება; საჭიროა ვიცოდეთ, ესთეტიურად თარგმანია იგი თუ არა; ჩვენ ყველასა გვწამს, რომ „ვეფხის-ტყაოსანი" გენიალი ქმნილებაა, ესე იგი ისეთი, რომელიც ყოვლად სრულია, და მისი გაგრძელება, ან შემდგომი დამუშავება სრულიად შეუძლებელია; თუ ეს ასეა, მაშინ თვითონ აღებული არაკი გარდაქმნილი უნდა იყოს თავის მთავარ მუხლებში; მაშასადამე, შესაძლოა, რუსთაველს მართლაც ეგონოს სპარსული არაკი, მაგრამ ისე გარდაექმნას, როგორც მოქანდაკეს უბრალო თიხა.

კიდევ მეორე მაგალითი. აქ ხშირად გაისმოდა, რომ 14—15 საუკუნოების უდაბნოში ასეთი დიადი ქმნილება შეუძლებელია წარმოშობილიყო. და მართლაც: აქ ისტო-

# მეფე ერეკლეს შინაური პოლიტიკა

(დასასრული *)

ანტონმა და გაიოზმა დიდი ღვაწლი დასდეს საქართველოს თავიანთი ნაწერებით, უმთავრესად სახელმძღვანელოების შედგენით. ანტონ კათალიკოსი სახელმძღვანელოების დაწერისთვის დაუახლოვდა კათოლიკების მისსიონერებს, რომლებიც მაშინ სცდილობდნენ გაევრცელებინათ კათოლიკების სარწმუნოება. დიდი გავლენა და სარგებლობა მოუტანეს საქართველოს, როგორც პროფ. ა. ცაგარელი სწერს, კათოლიკების მისსიონერებმა. იგინი აარსებდნენ თავიანთ ეკლესიებთან სკოლებს, სადაც ბავშვები იღებდნენ პირველდაწყებით ცოდნას. ღრმა და ფართე ცოდნა ღვთისმეტყველებისა, ფილოსოფიისა და განსაკუთრებით ძველისა და ახალი ენებისა აძლევდა საშუალებას ყოფილიყვნენ მოსაუბრეები სასულიერო და საერო წარჩინებულ პირთა და აღეზარდათ მათი შვილები. მათ შესამჩნევი როლი ითამაშეს საქართველოს მე-XVIII საუკ. აღორძინების ხანაში. ანტონს მათთან დაახლოვებისთვის დაბრალეს კათოლიკობა, მისცეს საეკლესიო სამჯავროს და მიტროპოლიტობა ჩამოართვეს. 1756 წ. იგი უკვე რუსეთში გაემგზავრა და წარუდგინა უწმიდეს სინოდს სიმბოლო სარწმუნოებისა, რის შემდეგაც დაინიშნა ვლადიმირის ეპარქიის არქიეპისკოპოსად. ერეკლემ კარგად იცოდა, რა გამოსადეგი კაცი იყო ანტონი საქართველოსთვის, 1764 წ. კვლავ მოიწვია ტფილისში და დაუბრუნა კათალიკოსობა. ანტონიმ დასტოვა ოცდა ხუთამდე თხუზულება ორიგინალური და ნათარგმნი.

ამ ორ დიდ სასწავლებლის გარდა დაარსდა სამრევლო სკოლები: კალოუბნის, ანჩისხატის, სიონის და სხვა. თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა ერეკლე სწავლა-განათლებას, ჩვენ ვხედავთ შემდეგი გარემოებიდგან; იოსებ კათალიკოსის დროს, რომელიც დაინიშნა ანტონის რუსეთში გაძევების შემდეგ, მოხდა ეპისკოპოსთა კრება 1762 წ. ამ კრებამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია სწავლა-განათლებას. სხვათა შორის გამოიტანეს შემდეგი დადგენილება (მე-9-ე და მე-11—12 მუხლი): „მღვდლობა არ მიეცეს იმას, რომელსაც არ უსწავლია, რომელსაც საყდარში სახარების წაკითხვა კარგად არ შეუძლიან, ეპისკოპოსნი მოვალენი არიან რათა თვის სამწყსოთ ასწავლონ წერა-კითხვაო". წერა-კითხვის გავრცელებამ კი აღძრა წიგნების საჭიროება. წიგნების ბეჭდვისა და გავრცელებისათვის ორჯერ განაახლა სტამბა. პირველ განახლების შესახებ, 1762 წ., არაფერი ცნობები არ დარჩენილა, ხოლო მეორე განახლების შესახებ, 1782 წ., დარჩა მოკლე ბროშიურა. ამ ბროშიურიდან სჩანს, რომ ბევრი დაბრკოლება გამოუვლია სტამბის განახლებაში ზოგიერთ სასულიერო პირსა და ერისკაცებს, მაგრამ, ერეკლეს შემწეობით, სტამბა მაინც განახლდა. თუ რა ნაყოფი გამოიღო ამ სტამბის განახლებამ სჩანს იქიდან, რომ ერეკლეს ბრძანებისამებრ მღვდელმა ქრისტეფორე კეჟერაშვილმა დაბეჭდა 7,400 სხვა და სხვა სასულიერო შინაარსის წიგნი. 1795 წ. აღამაჰმადხანის შემოსევამ ბოლო მოუღო როგორც ამ სტამბას, ისე მთელ საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებას.

დიდ ყურადღებას აქცევდა ერეკლე სტამბას. ყველას, ვინც სტამბაში მუშაობდა, ერეკლე ანთავისუფლებდა სხვა სახელმწიფო სამსახურიდან. აი, მაგალითად, ერეკლეს სთხოვს მღვდელი დავით ჩუბინიძე, რომელიც სტამბაში მსახურებდა, სამხედრო სამსახურიდან გამანთავისუფლეო; ერეკლე შემდეგ ბრძნულ და ჰუმანიურ განკარგულებას აწერს ამ თხოვნას: „ეს დავით მღვდელი სტამბაში განწესებულია, ესეც საქვეყნიერო და სჯულის სამსახურია, ამას „მორიგეთ" ნუ გამოიყვანთ". ეს „მორიგეობა" შემდეგში გამოიხატებოდა: 1770—72 წ. მოსვენება არ ჰქონდა საქართველოს ლეკთა შემოსევით. მათ ასალაგმავად ერეკლემ დაარსა „მორიგე ჯარი", რომელშიაც ჩაეწერა თვითონ შვილებით. აგრეთვე უნდა ემსახურნა ყველა მამაკაცს, განურჩევლად წოდებისა, ერთი თვის განმავლობაში, ვისაც არ შეეძლო მსახურება, მას სხვა უნდა ექირავებინა თავის მაგივრად. და სწორედ ამასა სთხოვს მღ. დავით ჩუბინიძე, სამსახურიდან გამანთავისუფლეო. ამ მხრივ ჯარის დაარსების გარდა ერეკლე ძლიერ მოწადინებული იყო გადმოენერგა ევროპიდან სამხედრო მეცნიერება და ყველას, ვისაც ჰსურდა, დიდ დახმარებას აძლევდა. მაგალითად იგი სწერს თავად გარსევან ჭავჭავაძეს, რომელიც ელჩად იყო რუსეთში, რომ სომხეთის მელიქოვი სტეფან პავლიჩი საინჟინერო სასწავლებელში მიაბაროს არტილერიის საქმის სასწავლად. სამხედრო საქმის მცოდნეებად საქართველოში ითვლებოდა პაატა ბატონიშვილი და პაატა ანდრონიკაშვილი.

ამათ ევროპაში შეისწავლეს სამხედრო მეცნიერება და დაბრუნებისას საქართველოში მოაწყეს თოფ-ხანა ევროპიულს წესზე.

აღორძინების ხანა ერეკლეს მეფობაში დაეტყო აგრეთვე მართლ-მსაჯულებასაც. ხშირად სწერს მეფე მსაჯულებს, საქმე სწორედ ისე გადასჭერით, როგორც მოითხოვს „დასტულ ამალიო", ჩვენება ორივე მხარეს ფიცით და მოწმობით ჩამოართვითო". დიდს ყურადღებას იპყრობს წერილები მიწერილი ყაზახ-ბორჩალოს მმართველებისადმი, სადაც ერეკლე ჰქადაგებს კაცთ-მოყვარეობას, ხარჯის თანასწორად განაწილებას იმის ӧ მიხედვით, ვის რა ქონება და შეძლება აქვს, ჩაგრულთა დახმარებას, სამსაჯულოში სიმართლეს და პატიოსნებას. ეს წერილები ცხადი მაჩვენებელია იმისი, რომ თუ ასეთი სიმართლით ეპყრობოდა იგი განაპირა ქვეყნების მცხოვრებთ, თათართა და სომეხთ, უსათუოდ დიდ ყურადღებას მიაქცევდა თვით შიდა საქართველოში მცხოვრებთაც. აი ეს წერილები, სადაც ერეკლე სწერს „მამედ-შარიფ აღა-ქოსალუს": „გვიბოძებია მისთვის სოლაღლუს აღსაკალობა (მამასახლისობა), რათა სიმართლით და უანგაროდ განაგებდეს საზოგადოების საქმეებს, მიდგომით არ იკრიფებოდეს ხარჯი და რათა ძლიერთ არ დასჩაგრონ და არ შეაწუხონ სუსტნი და უძლურნი. მართვა-გამგეობა საზოგადოებისა ისეთი უნდა იყვეს, რომ ხალხი მშვიდობითა და წყნარად სცხოვრობდეს დი კეთილ-დღეობას აღწევდეს".

მეორე ბრძანებაში ერეკლე სწერს სოლაღლუის აღსაკალს: „ყოველნაირი ხარჯი და გადასახადი, მთავრობისაგან განწესებული და შემოღებული, უნდა გასწეროს და გაანაწილოს ქვეშევრდომთა შორის ერთ ყალიბზე და იმის მიხედვით, ვის რა ქონება და შეძლება აქვს, ან რა ნაირი ალაგი უჭირავს საზოგადოებაში, რათა ყველანი, დიდი და პატარა კმაყოფილნი იყვნენ მთავრობის ბრძნული გამგეობით".

მესამე ბრძანებაში: „ხარჯი და ჩვენთვის გადადებული გადასახადი უნდა აიკრიფოს სისწორით და სიმართლით; ამასთანავე ღარიბნი არ უნდა იყვნენ შეწუხებულნი; სუსტსა და ქონებით შეუძლოს უნდა მოექცნენ ლმობიერად და არ დააჩაგვრინონ ძლიერსა"

მეოთხეში: ფინახ-აღას უბრძანებს „სახელმწიფო გარდასახადის და სხვა სავალდებულო ხარჯის სწორი და ნამდვილი ანგარიში იქონიოს, არ შეაწუხოს მეტის-მეტად გარდასახადით ღარიბნი, შემწეობა აღმოუჩინოს შეუძლებელთა და ხელ მოკლეთა და მფარველობა გაუწიოს ღარიბთა, თვალ-ყური უნდა ეჭიროს, რომ ძლიერმა ქონება არ წაართვას სუსტსა და ღონე მიხდილსა, და ან სხვაფრივ როგორმე არ შეაწუხოს და დასჩაგროს". აი ასეთი ჰუმანიური აზრებით არის გაჟღენთილი თხუთმეტი წერილი, ყაზახ-ბორჩალოს მმართველებისადმი მიწერილი.

დიდ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ერეკლეს ბრძნული განკარგულება, რომელშიაც იგი ყმობისაგან ანთავისუფლებს ტყვეობიდან დაბრუნებულთ. „უცხო ქვეყანაში წასული, ანუ ტყვედ წაყვანილი კაცი, ვინც ისევ მოვა და თავის მამა-პაპის ბინაზე დადგება, იმას შემდეგ წყალობას დავამართებთ, თუ ბატონის ყმაა, ბატონს იმასთან ხელი აღარ ექნება საბატონყმოდ, თუ თვითონ არ მოინდომა; ყოველივე ბეგრისა და გადასახადისაგან თავისუფალი იქნება და ლაშქრობის მეტი იმას აღარ ეთხოვება-რაო".

ერეკლე სწერს 1785 წ. გლეხ გიორგი ბაზილიძის შესახებ და უბრძანებს, ხელი არავინ ახლოსო.

ერეკლე ყოველის ღონისძიებით სცდილობს აგრეთვე საქართველოს ეკონომიურად წინ-წაწევას, მის დროს ფეხს იკიდებს ჩვენში აღებმიცემობა. სამეფოს პოლიტიკური სიძლიერე უსათუოდ მის ეკონომიურ ზრდასაც უნდა დასტყობოდა. ერეკლემ დიდი ყურადღება მიაქცა მადნების დამუშავებას ჩვენში. ქართველები ძველად ცნობილი იყვნენ როგორც მადნების დამმუშავებულნი. როგორც ივ. ჯავახიშვილი მოწმობს. „კალის" მეტი არაფერი არ გვისესხია სხვა ერებისაგან,—არამედ ყველა მადნების სახელწოდება ქართველებისაგან გადვიდა. ცნობილი იყო ერეკლეს დროს და იმის წინეთაც „ახტალას" ვერცხლის მადანი, ერეკლემ ამის დასამუშავებლად რამდენჯერმე მოიწვია მცოდნე ბერძენი, მაგრამ ლეკ-ოსმალთა შემოსევამ არ მისცა საშუალება, კარგად მოეწყო მადნების დამუშავების საქმე. ამიტომ ერეკლე სცდილობს შეკრიბოს თავის სამეფოში ორმოცამდე ყმაწვილი მადნის საქმის შესასწავლად. აი რასა სწერს ერეკლე სახლთ-უხუცესს ამილახორს 1775 წ.

„აქ ჩვენ მაგივრად ჩვენს იმედათ მისამჩნელს სახლთ-უხუცესს ამილბარს ასე უამბეთ: მერე მადანჩათ მისაბარებელი შაგირდები ქართლსა და კახეთში შევაწერეთ; კახეთს გარდა ქართლსა და ქალაქში რაც მისის უწმინდესობის ჩვენი ძმის კათალიკოზის ყმა არის, ამათ ექვსი კაცი აწერიათ, ამის იასაული შენ ხარ; რომელიც სახლის-კაციანი კაცი იყოს, ამისთანა გამოიყვანე, ოცის

---
*) იხ. „სახ. გაზ." № 876.

რიო-ფილოლოგიურ თვალსაზრისის გვერდით თავსა ჰყოფს ფილოსოფიურ-ესთეტიური თვალსაზრისიც: შესაძლოა თუ არა ერის ისტორიის უდაბნომ გენიალი ქმნილება მოქვცეს. მე მგონია, დიადი, წინასწარმეტყველური ნაღველი, შობს უდაბნოში წყაროს, მაგრამ ქმნილება იგი ნაღვლიანი იქნება და არა მზიურ ხალასიანი, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“.

დღევანდელი კამათიც აქ ნათქვამს ამოწმებს. ბ-ნი რეფერენტი სხვათა შორის ეყრდნობა ძველს ხელ-ნაწერს, სადაც ხვარაზმთა ამბავიცაა მოთხრობილი და მით უნდა დაამტკიცოს თავის დებულება. მაგრამ, ბ-ნმა გორგაძემ მშვენივრად გამოიყენა ესთეტიური მეთოდი, დაამტკიცა ხელოვნების მხრით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ იქ თავდება, სადაც მის ბოლო სიტყვაობა იწყება— და მაშასადამე, ის ხელნაწერიც რუსთაველს არ მიეწერება. და მართლაც ყოველი მხატვრული ქმნილება მთლიანია და მაშასადამე დამთავრებული: მას არა მიემატება-რა; მიუმატეთ მაგალითად რაიმე „მერანის“ ბოლოს და თქვენ მაშინვე სცნობთ, რომ მიმმატებელი ბარათაშვილი არაა.

ბ-ნს მომხსენებელს რომ მის მიერ ათვალწუნებული მეთოდისათვის მიემართნა, მაშინ არც ეს აჩქარებული შეცდომა მოუვიდოდა.

მიუხედავად ამისა, უმადურნი არ უნდა ვიყვნეთ და ძადლობა უნდა გადავუხადოთ მას, როგორც ინიციატორს ამ კამათისას, სადაც 8 საათის განმავლობაში საზოგადოება შინაარსიან სიტყვებს ისმენდა.

რადგან ამ ჟამად აქ შეუძლებელია ბ. კაკაბაძისა და ბ. გორგაძისა მოხსენებათა მთლიანი შინაარსის გადმოცემა, ამიტომ ვეცდებით ჩვენს გაზეთში სავსებით დავბეჭდოთ იგინი, რათა მკითხველმა თვით გაითვალისწინოს ცალკ-ცალკე მათი ღირსება-ღირებულება.

## დრამატიული საზოგადოება და დრამატიული კურსები

„ოცი წელიწადია ეს ოცნებადა ჰქონდა დრამატიულ საზოგადოებას; და აი, დღეს აგვისრულდა ნატვრა; ოცნება გაგვიხორციელდა. დღეს შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ გვაქვს საკუთარი დრამატიული კურსები“. აი ამ სიტყვებით მიმართა კურსების გამგემ ვ. ალექსი-მესხიშვილმა დამსწრეთ, კურსების გახსნის დღეს. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით მაშინ, რომ, როგორც საზოგადოება საერთოდ, ისე გამგეობის წევრები ფრიად დაინტერესებულნი იყვნენ ამ საქმით და ყოველ ღონისძიებას იხმარებდნენ, რომ კურსების კეთილდღეობა უზრუნველეყოთ, მაგრამ არ გასულა ოთხი თვე და ეხლა ამავე გამგეობის წევრთაგან კურსებისა საწინააღმდეგო ბევრი გვესმის. ზოგნი კურსების დახურვის მომხრენიც არიან. აი სწორედ ასეთ დროს ვეცდიდით ჩვენც, რომ გამოგვეთქვა ჩვენი აზრი კურსების შესახებ. ხშირად თუ სიმართლე სთქვა კაცმა უსაყვედურებენ, უკიჟინებენ—ამას საქმისადმი მოყვარეობა არა აქვსო. ეხლა კი, როდესაც კურსების არსებობის საკითხი სწყდება, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვსთქვათ.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა თუ არა ქართველებისათვის კურსები? რასაკვირველია ამაზე ორნაირი პასუხის მიცემა შეუძლებელია. თუ კი გვსურს ჩვენი სცენის აღორძინება, ქართული კურსებიც უნდა არსებობდეს. უეჭველად საჭიროა ჩვენ მსახიობთ ჰქონდეთ შეძენილი საუკეთესო ან სპეციალური სასცენო ცოდნა. უამისოდ ჩვენ სცენაზე ყოველივე როლში მუდამ ერთსა და იმავე ივანეს ან პეტრეს ვნახავთ, და არა იმ ტიპის განხორციელებას, რომელსაც ავტორი ჰხატავს. მსახიობისათვის ფრიად საჭიროა როგორც სპეციალური ცოდნა ისე ჰუმანიტარული მეცნიერებათა შესწავლა საჭიროა საზოგადო განათლებაც. თუ მას ყოველმხრივი განვითარება არ მიუღია, ვერასოდეს ვერ შესძლებს თვით შეჰქმნას ტიპი, როლი. საძწუხაროდ ჩვენ მსახიობთაგან ორი სამი თუ დაიკვეხებს ასეთ გმირობას და ისიც იმიტომ, რომ ბუნებას იგი ნიჭით დაუჯილდოვებია და გრძნობით სძლევენ მას, რასაც სხვა სცენებზე ადვილად სძლევენ სკოლა გავლილი საშუალო ნიჭის მსახიობები.

თუ საჭიროა სკოლა, როგორი ტიპისა უნდა იყოს იგი, აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნილებას არსებული დრამატიული კურსები? აი მეორე საკითხი. თუ ამ საკითხის პირველი ნაწილის გადაჭრით გადაწყვეტა ადვილია, მეორე ნაწილი საძნელოდ მიგვაჩნია. ძნელი სათქმელია, როგორი ტიპის უნდა იყოს სკოლა, რადგანაც ამ საკითხს ხანგრძლივი ყოველმხრივი შესწავლა უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სწორედ ის მოხდება, რაც ეხლანდელ კურსებს დაემართა. ასეთი კურსები არ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რადგან იგი არც საშუალო სასწავლებელ-დამთავრებულთ დააკმაყოფილებს და მცირე ცენზიანთათვის კი უსარგებლო და გამოუსადეგარი იქნება. ამის ბრალი იყო, რომ მსმენელთა და ლექტორთა ერთმანეთისა არაფერი ესმოდათ. რასაკვირველია, ასეთნაირად დაყენებული საქმე ვერ იხეირებს, უნდა მოისპოს. უნდა მოისპოს აგრეთვე შინაური ხასიათი, რომელიც ყოველ ქართულ საქმეს თან დასდევს.

ქართული დრამატიული სკოლა ფრიად საჭიროა, მაგრამ თუ გვინდა მან თავის დანიშნულებას მიაღწიოს, აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მოექცეს როგორც შესაფერისად მომზადებულ მოსწავლეთა კონტიგენტის მოგროვებას, ისე ისეთ შინაგან წყობილების დამყარებას, რომელიც სკოლას თავის მოვალეობას შესრულებინებს.

ურიგო არ იქნებოდა გამგეობას დაწვრილებითი ანგარიში შეედგინა სკოლის მოქმედებისა და აღენიშნა, რამდენი მოსწავლეა, რამდენი ლექცია იქმნა წაკითხული, რანაირი პროგრამითა სწარმოებს სწავლა და პროგრამიდან რა გაიარეს. ერთის სიტყვით, ანგარიშებში საპატიო ადგილი უნდა სჭეროდა დრამატიულ სკოლას და გამგეობას განსაკუთრებული მოხსენებით უნდა გამოერკვია, რა ესაჭიროება სკოლას და როგორ შეიძლება მისი მკვიდრ ნიადაგზე დაყენება. ყველა ამას ჩვენ გამგეობის მხრით ვერა ვხედავთ. სჩანს, გამგეობა სკოლას სცენის ისეთს დამატებადა სთვლის, რომელზედაც შეიძლება ძალიან არ იზრუნოს ადამიანმა.

თუ შემდეგშიაც ასე მოვექეცით დრამატიულ სკოლას, ცხადია იგი ნორმალურ გზას ასცდება და ვერასოდეს თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს.

**კორდელი.**

---

წლიდამ მოკიდებული ოც-და-ათ წლამდის რომ იყოს; ამ გვარი უნდა გამოვიდეს. ამაზე დიდად ბეჯითა იყავ, ეს ახლავ გაარიგე. იმ შაგირდებს თითო თოფი და იარაღი და ხუთ-ხუთი მილანთუნი თეთრი უნდა მისცეთ; ამაზე ნურავინ დაბრკოლდება, ეს სარწმუნოების ერთგულებაც არის და თავის ქვეყნისაც, ეს რომ ჩვენ ქვეყანაში გამრავლდეს, მტრისგან ჩვენი ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლიან, რომელიც ამ ხელობას ისწავლის, თავის ოჯახს გაადიდრებს. ჯერ ამის გემო არ იციან, თორემ ამის სწავლისათვის კიდეც შემოგვეხვეწებიან. წელიწადში ერთი ოსტატი სამოცს-ოთხმოც თუმანს მოიგებს და ამის უკეთესი მოგება გლეხი-კაცისთვის სხვა რა უნდა იყოს, ამაზე ბეჯითად თავს შეიდევ, ამის დაგვიანება აღარ იქნება ამ ათ დღეზე უნდა გაარიგო“.

ეს წერილი ცხადად ამტკიცებს თუ როგორ იყო დაინტერესებული ერეკლე საქართველოს ეკონომიურ აღორძინებაში.

როდესაც ეცნობი ერეკლეს წერილებს, განცვიფრებაში მოსდიხარ ამ შესანიშნავი ადამიანის დაუღალავი შრომით, ბრძნული და ჰუმანიური მოქმედებით. თქვენ გიზიდავთ მისი თავმდაბლობა იოანნე აბაშიძესთან, ქეჩიკჩიბესთან (მეფის ჯარის უფროსი) მიწერილი წერილები არ არის წერილი რომელიმე აზიელ ტირანისა, არამედ მეგობრული, შინაურულია. განცვიფრებაში მოჰყევხარ მეფის დაკვირვებას იგი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ მოიქცეს მისი ჯარის უფროსი იოანნე ქეჩიკბეში, სად გამაგრდეს მტრის შემოსევის დროს, როდის ეკვეთოს მტერს და სხვა. ეს წერილები ნათლად ამტკიცებს ერეკლეს მხედართ-მთავრულ ნიჭს. ასეთივე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს წერილები მიწერილი 1797 წ ბატონიშვილ ფარნაოზისადმი, ქიზიყის მოურავის ზაქარიასადმი და ეპისკოპოსს იოანე ბოდბელისადმი; ეს წერილები დაწერილია რამოდენიმე თვის წინად სიკვდილისა, მიუხედავად ძლიერი დასუსტებისა, 80 წლის მოხუცი, წყალმანკით დაავადმყოფებული, რომელსაც ახლად გაკეთებული ოპერაცია ფეხზე არ მორჩენია, კიდევ შოულობს დროს და ძალას, რომ უკუაგდოს ლეკთა შემოსევა ომარ-ხანის მოთავეობით. კრწანისის დაჭრილი ლომი, სასიკვდილოდ მიჯაჭვული თავის სარეცელზე ამხნევებს ჯარს, სწერს, რომ თვითონ მიეშველება მალე, ერეკლე დაწვრილებით აღწერს, როგორ და სად ეკვეთონ მტერს, რა საშუალებით არჩინონ ჯარი, სად ჩაესაფრონ მტერს. ერეკლე სწერს ბატონიშვილ ფარნაოზს „რატომ არას გვაცოდინებთ, სად დგეხართ და ან ის კაცი (ომარ-ხანი) სად არის და სადა სდგას? და ან იცით რამე იმისი და ან იმისის ჯარისა“? ურჩევს, რომ მცხოვრები გახიზნონ გამაგრებულ ადგილებში და ზაფხულზე გაუშვას ჯარი თავის სახლებში სამუშაოდ, სანამ საჭიროება არ მოითხოვს. ასეთ წერილებს და დაუშრომელ ღვაწლს 80 წლის მოხუცისას სწყვეტს მხოლოდ სიკვდილი 11 იანვ. 1798 წ.

განუტევა სული საქართველოს უკანასკნელმა გმირმა. კრწანისის დაჭრილმა ლომმა ჩაჰბერა საქართველოს გამაცოცხლებელი სული. პატარა კახს ჰსურდა კვლავ გამეორებულიყო ბრწყინვალე დრონი თამარის და დავით-აღმაშენებლისა, მაგრამ ვეღარ დასცალდა. სამეფო გვარის არეულებამ, გარეშე მტერმა დასცა საქართველო და აიძულა გადაეწყვიტა „ბედი ქართლისა“.

**მიხ. აბრამიშვილი.**

## აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

**„საეროვნო პრობლემის გარშემო“ (1907—9 წ. ტ. I)**

მხოლოდ ეხლა, ასის წლის შემდეგ, ქართველმა ხალხმა ხელმეორედ მოინდომა ძველ კულტურასთან და საზოგადოებრივობასთან გაწყვეტილ სიმების გაბმა. მხოლოდ ეხლა შემზადდა ნიადაგი ორგანიულის განვითარებისა ისტორიულად შემუშავებულ ეროვნებასა, მაგრამ ეხლა, როგორც ძველ დროშიაც, ამ მუშაობას, ამ შემოქმედ კულტურულ აღორძინებას დაქსაქსული ძალა ელობება. ეს არის გარეშე პოლიტიკური ძალა და შინაურობაში აღზრდილი კოსმოპოლიტური მიმართულების „წწილები“.

✦

ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა მთელის თავის არსებით გართულია რუსეთის პოლიტიკით. იგი სდგას რუსეთის სახელმწიფოს ნიადაგზე, ამ სახელმწიფოს რეორგანიზაციასა და რეფორმებზე ბრუნავს და მასა ჰგონია, რომ საქართველოს სწორედ ამ რეფორმების წყალობით ეშველება და იგი ახლო მომავალში თავისუფლად ამოისუნთქებს. ეს ის ნაწილია ჩვენის საზოგადოებისა, რომელსაც დღეს ჰგონია, რომ ამ ასის წლის წინად იგივე გარემოება იყო, რაც დღეს არის, რომ მაშინაც საქართველოს ბედ-იღბალი რუსეთის პოლიტიკურ წყობილების გაუმჯობესებაზე იყო დამოკიდებული და არა ეროვნულ-პოლიტიკურ თვით-მოქმედების განვითარებაზე.

✦

თუ ეროვნული ნიადაგი არ არის, ხალხს ვერც ერთი ლიბერალიზმით გატაცებული მმართველობა ვერ გააცოცხლებს.

✦

ქართულ ეროვნულ იდეალების გამომსახველი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივობა და არა მისი გამანადგურებელი და უარმყოფელი ფეოდალობა.

✦

ჩვენ ვუწევთ ანგარიშს ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ ჩვენი მოქმედების პრინციპს ვეძებთ დღევანდელ ჩვენს საჭიროებასა და შეგნებაში. ეს საჭიროება და შეგნება კი გვეუბნება: საჭიროა გაერთიანება საქართველოს ყველა ნაწილებისა ერთს პოლიტიკურ ორგანიზაციით, რომელიც ქართველ ხალხის განვითარებისათვის უფრო შესაფერი და გამოსადეგი იქნება. ეს ორგანიზაცია არის ავტონომია.

✦

ავტონომია წარსულშიაც კი გვქონია. მით უკეთესი. მაშ ჩვენი სურვილი ერთი-ორად პატივსადები და სერიოზულია. ამ მხრივ უნდა გამოვიყენოთ მოხერხებულ დროს ისტორიული უფლებანი.

✦

ჩვენს სოციალურ სხეულში ჩასახული იყო ელემენტები მისი განახლებისა. საქართველოს სახელმწიფოებრივობა დაცული რომ ყოფილიყო, ეროვნულ ფარგალში მოთავსებული სოციალური ჯგუფები ნორმალურად განვითარდებოდნენ. კლასთა ბრძოლის საშუალებით, რომელიც გარეშე მდგარ ძალით შეფერხებული და შეჩერებული არ იქნებოდა, ქართულ საზოგადოების ევოლუცია დემოკრატიზმისაკენ უზრუნველყოფილი იყო.

✦

ქართულ საზოგადოებაში იმ გვარი ძალები და ელემენტებია ჩასახული, რომ მათდა ასამოძრავებლად სრულიადაც არ იყო საჭირო უცხო ძალის ხმარება.

✦

პოლიტიკურ ცხოვრების აღორძინებისა. მე არ ვამბობ რომ ეხლანდელ ვითარებას ძაფები ჰქონდეს გაწყვეტილი ძველ თაობის ხანასთან. არა, მე იმას ვამბობ მხოლოდ, რომ ის, რაც მოგვიტანა ძველმა თაობამ და ის, რაც ახლებმა წამოაყენეს აღნიშნულ ხანაში, იყრის თავს, გროვდება, ერთმანეთს ეცილება და ამ შეცილებაში ახალს თვალს, იგნებს თავის საკუთარ სახეს, ჩვენი მომავალის სავალელ გზას სწორედ ამ განსაზღვრულ ხანაში.

## სასამართლო

**მკვლელობის განზრახვა.**

1912 წლის 15 ნოემბერს, ორთაჭალაში, ელიაროვის ქუჩაზე მდებარე საწვრილმანოს პატრონს შიო მიქაძეს სადარაჯოზე მდგომ პოლიციელ ტევოიანცთან ჩხუბი მოუვიდა და დანა მოუქნია, მაგრამ ტევოიანცმა დანა აიცდინა. ამის გამო მიქაძე პასუხის-გებაში იყო მიცემული; მას ბრალდებოდა კაცის კვლის განზრახვა. ტევოიანცისა და სხვა პოლიციელების სიტყვით, მიქაძე დიდი ხანია ემტერებოდა მას, ვითომდა იმისათვის, რომ მიქაძეს სადამოობით თერთმეტი საათის შემდეგ ვაჭრობის ნებას არ აძლევდა. ამას დაემყარა ბრალმდებლის თანაშემწე და აგრეთვე იმასაც, რომ მიქაძე ერთხელ პოლიციელისავე მკვლელობისათვის უკვე იყო გაგზავნილი კატორღაში. ამიტომ ბრალმდებლის თანაშემწე თხოულობდა მის დასჯას.

ბრალდებულის დამცველმა ნაფ. ვექ. **ტურკევიჩმა** საქმე აგვარად დასახა: ელიაროვის ქუჩაზე, მიქაძის გარდა ვაჭრობს ტევოიანცის სიძეც, რომელიც მიქაძეს ძლიერ ავიწროებს. უკანასკნელს კი ამის გამო ჩხუბი და აყალ-მაყალი ტევოიანცთან უხდებოდა. ამ დღესაც ასეთი ჩხუბი მოხდა. მიქაძე ილანძღებოდა და დანით ემუქრებოდა, მაგრამ არავითარი განზრახვა მას არა ჰქონია, რადგანაც ტევოიანცი ხმლითა და რევოლვერით იყო შეიარაღებული. იქვე ცხრა პოლიციელი იდგა. ცხადია, ამდენ პოლიციელების წინაშე და აუარებელი მაყურებლების წინაშე მიქაძეს მკვლელობის განზრახვა არ ექნებოდა. ამიტომაც დამცველი თხოულობდა ბრალდებულის გამართლებას. სასამართლომ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ მიქაძე უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

**თავ. კ. ბეგთაბეგოვის, ს. და ა. ფალავანდიშვილებისა და თ. ა. ჯავახიშვილის საქმე.**

საოცარი საქმის განხილვა იყო დანიშნული გუშინ ტფილისის ოლქის პირველ განყოფილებაში. ოთხი ჟანდარმით სავსე ყმაწვილი კაცი იჯდა ბრალდებულთა ადგილას, რადგან მათ ბრალდებათ გაძარცვის განზრახვით მედუქნეზე თავდასხმა და დუქნის გადაწვა. ამ საქმემ სასამართლოს დარბაზში აუარებელი მაყურებელი მიიზიდა. სასამართლოს სხდომის დარბაზსაც არაჩვეულებრივი შეხედულება აქვს. რადგან დიდ დარბაზებში შეკეთება ხდება, სხდომები გადატანილია გვერდით პაწაწა ოთახებში და აუარებელი ხალხის უმეტესობა გარედ დარჩა. საქმე ასე მოხდა: 1912 წლის შვიდ ივნისს საღამოს 11 საათზე სოფ. ოქონაში (გორის მაზრა) ოთხი შეიარაღებული უცნობი თავს დაესხა სოფელში მყოფ ტიგრან კარაპეტოვისა, გიორგი და იაკობ როსტომოვების დუქანს. ბოროტ-მოქმედებმა გაიტაცეს ფართალი და ფული შემდეგ კი დუქანს ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს. ეჭვი თავ. ბეგთაბეგოვზე მიიტანეს, რადგანაც ამ მომხდარ ამბის ადგილზე მისი ფაფახი იპოვეს. თავ. ბეგთაბეგოვი გამოტყდა და დაასახელა თავ. ფალავანდიშვილები და ა. ჯავახიშვილი. ამის გამო ყველა ისინი პასუხის გებაში მისცეს სასამართლოს სხდომა დაიწყო $11\frac{1}{2}$ საათზე. ოლქის სასამართლოში ბრალდებულთ იცავენ: კ. ბეგთაბეგოვს — ნაფ. ვექ. **ბროდსკი**, ს. ფალავანდიშვილს—ნაც. ვექ. **მესხიშვილი და ზელენსკი**, ა. ფალავანდიშვილს—ნაფ. ვექ. **გეპშტეინი**; ჯავახიშვილს დამცველი არა ჰყავს. დაზარალებულთა მხრით გამოდიან ნაფ. ვექ. **დოლუხანოვი** და თანაშემწე **მადათიანი**.

მოწმეთაგან არ გამოცხადნენ: ს. წერეთელი, ლობჟანიძე, გვერდწითელი.

**ბრალმდებელი** კანონიერად სცნობს წერეთლის მოუსვლელობას, რადგანაც, მისთვის უწყება არ ჩაუბარებიათ; გვერდწითელისა, ლობჟანიძისა და სხვათა კი—უკანონოდ აღიარა და მათი დაჯარიმება მოითხოვა. გარდა ამისა უკანასკნელთა ჩვენება იმდენად დიდმნიშვნელოვანია ბრალდებულთათვის, რამდენადაც ბრალმდებლისათვის, ამიტომ საჭიროა საქმის განხილვის გადადება. ნაფ. ვექ. **დოლუხანოვი** და **მადათიანი** ბრალმდებელის აზრს მიემხრნენ.

ნაფ. ვექ. **ზელენსკი**. ს. ფალავანდიშვილის მოწმეები არ გამოცხადდნენ. და თუ კი ბრალმდებელის მიზანია ბრალდებულთა გამტყუნება, ეს მისთვის უფრო ხელსაყრელია; დამცველები შესაძლოდ სცნობენ ამ მოწმეების დაუსწრებლად გაირჩეს საქმე. მაგრამ აქ არის ერთი მოწმე, ს. წერეთლის მოჯამაგირე მაჰმად ურარ-ოღლი, რომლის ჩვენებაც საყურადღებოა. ამ მოწმის გამოწვევაში პირველად უარი სთქვეს; ეხლა კი კვლავ ვშუამდგომლობთ ამის გამოკითხვას და საქმის განხილვის დაწყებასა. მაგრამ თუ საქმე გადაიდება წერეთლის ორივე მოჯამაგირე გამოიწვიეთ მოწმედ.

**ბრალმდებელი** კვლავ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას და თანახმაა იმისა, რომ ამ შემთხვევაში ორივე მოჯამაგირე გამოიწვიონ მოწმედ. ოლქის სასამართლომ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ დაადგინა, საქმის განხილვა გადაიდოს და წერეთლის მოჯამაგირეები მოწმად დაიბარონ.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 25 აპრილს, ქართულ მსახიობთა ამხანაგობის დახმარებით ბ. ბეგლარიძე მართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ცნობილი 3 მოქ. დრამა **„მსხვერპლი“**. უმთავრეს როლებს ასრულებენ: ქ-ბ. ჩერქეზიშვილი, ნ. დავითაშვილი, ან. ქიქოძე, მ. კავთელი. ბ.ბ. ვასილ აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, ვ. გუნია, კ. მესხი, დ. ძგლობლიშვილი, ვ. მატარაძე, ალ. შანშიევი და სხვანი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე. მიზან-სცენები ვალ. შალიკაშვილისა. რეჟისორი ვალ. გუნია.

## უცხოეთი

**იაპონელები ჩრდილო-ამერიკაში.**

კალიფორნიის შტატის პარლამენტში, როგორც უკვე ვიცით, შეტანილია კანონ-პროექტი, რომლითაც უცხოელებს ეკრძალებათ კალიფორნიაში მიწების შეძენა. ეს კანონ-პროექტი იაპონელთა იმიგრაციის წინააღმდეგ არის მიმართული. როგორც მოსალოდნელი იყო ამ კანონპროექტმა იაპონიაში დიდი აღშფოთება და მღელვარება გამოიწვია. იაპონიის მღელვარებამ აიძულა ვაშინგტონის მთავრობა, თხოვნით მიემართა კალიფორნიის პარლამენტისათვის, საკითხის განხილვა სხვა დროისათვის გადაედოთ. ეს საკითხი მხოლოდ გადადებულია სხვა დროისთვის და არა მოხსნილი. ფრიად საინტერესოა გავითვალისწინოთ ცნობები, თუ რამდენად საგულისხმოა ეს საკითხი, რომლის წინააღმდეგაც ამხედრდა დასავლეთ ამერიკის შტატები, საზოგადოებრივი აზრი და იაპონია.

იაპონიის იმიგრაცია კალიფორნიაში დაიწყო 1869 წლიდან, როდესაც სანფრანცისკოში 40 იაპონელი მივიდა. ჯერ კიდევ 1887 წელს, ერთი გაზეთის სიტყვით, იაპონელთა რიცხვი კალიფორნიაში არ აღემატებოდა 120-სა. 1888 წ. ამ მცირე რიცხვმა საგრძნობლად იმატა, იქ უკვე 1,000 იაპონელი იყო, ათი წლის შემდეგ კი 13,000; 1907 წელს იაპონელთა რიცხვმა კალიფორნიაში მიაღწია 57,000; ერთის წლის შემდეგ მათი რიცხვი 60,000-მდე ავიდა. ეს რიცხვი კალიფორნიის მცხოვრებთა $^1/_{40}$ უდრის, როგორცა სჩანს ამ ცხრილიდან იაპონელთა აბსოლუტური რიცხვი დიდი არ არის; შეერთებულ შტატებში არის ისეთი ოლქები, სადაც უცხოელნი გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე კალიფორნიაში იაპონელნი. ასე რომ შიში იაპონელთა გამრავლებისა კალიფორნიის კანონმდებელთ არა ჰქონიათ. მიზეზი იაპონიის საწინააღმდეგო კანონ-პროექტის გაყვანისა სხვაგან უნდა ვეძებოთ; მიზეზი კი იაპონელთა როლია, რომელსაც ისინი სთამაშობენ კალიფორნიის სასოფლო - სამეურნეო დარგში. იაპონელთა იმიგრანტების უმრავლესობა მიწათ-მოქმედებას მისდევს. იაპონელ ფერმერების წარმოების ნაყოფი 25 მილიონ მანეთად ფასდება და შეადგენს 20 [illegible] მთელ შტატის წარმოებისას. იაპონელები მთავარ როლს თამაშობენ, როგორც ფერმერები და როგორც სამეურნეო მომუშავენი; ამერიკელ მომუშავეებს იაპონელთა მუშების კონკურენციისა ეშინიანთ. იაპონელები კალიფორნიაში თავიანთ თავს დროებითი მოსულად არა სთვლიან და მკვიდრად გაიკეთეს თვისი ბინა. ისინი სახლდებიან ამერიკის ტერიტორიაზე ოჯახობით; მათი გამრავლების პროცენტი ფრიად დიდია, გაცილებით მეტი, ვიდრე მკვიდრ ამერიკელებისა. ბავშვთა რიცხვიც არ არის ნაკლები, ნახევრად მათი ბავშვები ამერიკულ სკოლებში იზრდებიან, ნახევრად იაპონიისა. ამერიკელებში გათქვეფის ტენდენცია არსებობს ყვითელ-კანიანთა შორის, მაგრამ ეს პროცესი ფრიად ნელის ნაბიჯით ვითარდება, და ამიტომაც არის, რომ კალიფორნიის თეთრსა და ყვითელ-კანიან პატრონსა შორის ურთიერთობა გამწვავებულია.

## რუსეთი

**ჩხრეკა და დაპატიმრება.**

პეტერბურგში მუშათა ბინებზე ჩხრეკა-დაპატიმრება სწარმოებს. 19 აპრილს 18 მუშა გაჩხრიკეს. უმეტეს შემთხვევაში ჩხრეკა დაპატიმრებით თავდება.

**მოკავშირეთა კრება.**

აღდგომის კვირეებში უნდა მომხდარიყო ექიმ დუბროვინის მომხრე-მოკავშირეთა კრება. იგი არ შესდგა და გადაიდო სხვა ხელსაყრელ დროსთვის. როგორც ამბობენ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება არ მისცა ამ კრების მოწვევისა. იგი უკმაყოფილოა დუბროვინის მოკავშირეთა მოქმედებით, თებერვლის დღესასწაულებში. ამბობენ, პურიშკევიჩმაც დიდი ენერგია დახარჯა, რათა განზრახული კრების მოწვევა ჩაეშალათ.

**იუშჩინსკის საქმე.**

იუშჩინსკის მკვლელობის საქმის წინასწარი გამოძიება დასრულდა. 12 აპრილს გამოძიების მასალები გადაეცა სრულად კიევის სამოსამართლო პალატის პროკურორის კამერას. გამოძიების მასალა დაბეჭდილია 150 ფურცელზე. იგი შეადგინა ბრალმდებელის ამხანაგმა პაჩენკო—რაზვოდოვსკიმ. ახალი საბრალმდებლო ოქმი სავსებით ეთანხმება პირველ ოქმს. რაც შეეხება მკვლელობის რიტუალურ ხასიათს, გამორკვეული არ არის. სასამართლოს წინაშე ორი საკითხია წამოყენებული: ზოგიერთთა აზრით მკვლელობას არ ჰქონია რიტუალური ხასიათი, მეორეთა აზრით კი—ჰქონდა. თვით ოქმში ამის თაობაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ოქმში აღნიშნულია მხოლოდ, რომ მკვლელობა ბულეისმა ჩაიდინა სხვათა დახმარებით, რომელთა ვინაობა გამორკვეული არ არის. მიწვეულია 100 მოწმე. სამოსამართლო პალატის კამერა საბრალმდებლო ოქმს აპრილის ბოლოში განიხილავს.

**სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენე ჯგუფის კერძო თათბირი.**

„გოლოს მოსკვი“-ს სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს ერთად-ერთ წევრის ბინაზე მოხდა მემარჯვენე ჯგუფის კერძო თათბირი საგარეო პოლიტიკის თაობაზე, თავმჯდომარეობდა დურნოვო: მოხსენება წაიკითხა ტრუბეცკოიმ. გაზეთის სიტყვით საბჭოს წევრებმა „გაანიავეს“ ტრუბეცკოის მოხსენება და საზონოვის პოლიტიკა. დაამტკიცესო, ამბობს გაზეთი, რომ საზონოვის პოლიტიკა სრულიად არ შეესაბამება და ჰღალატობს რუსეთის ისტორიულ აღთქმებს და ტრადიციებსო.

## სხვა და სხვა ამბავი

**როდიჩევის ლექცია.**

როდიჩევმა წაიკითხა კიევში ლექცია ჰერცენის შემოქმედების თაობაზე; მოკავშირეები შეეცადნენ ლექცია როგორმე ჩაეშალათ; მოახდინეს ობსტრუქცია. ლექციის დროს სხვა ინციდენტებიც მოხდა.

**აისედორე დუნკანის წერილი.**

გამოჩენილ მოცეკვავე ქალს, აისედორე დუნკანს ტრაგიკულად დაეხოცა ორი შვილი, ქალ-ვაჟი. ამის გამო ყოველ მხრიდან მისდის დუნკანს სამძიმრის აუარებელი წერილი და დეპეშა, აისედორე დუნკანმა გაზეთ „მატენ“-ში შემდეგი წერილი მოათავსა: „ამ საშინელ დღეებში მივიღე ასობით წერილი, ბოდიშს ვიხდი თანამგრძნობთა წინაშე, რომ ჯერ კიდევ არ შემწევს ძალა ყველას გავცე პასუხი. წინად ყოველთვის მეგონა, რომ ამ მწუხარებაში ადამიანს მხოლოდ განმარტოვების სურვილი შეუძლიან ჰქონდეს. ეხლა

კი მესმის, რომ ერთად-ერთი ნუგეში და მწარე ნაღველის შესამსუბუქებელი არის განცდა იმ კავშირებისა, რომელიც კერძო პირსა აქვს საზოგადოებასთან, კერძო პიროვნების გათქვეფა საკაცობრიო სიყვარულის გრძნობაში; მე მსურს ყველას, ვინც კი თანამიგრძნო, გაუზიარო, რომ მათი თანაგრძნობა და სიყვარული ჩემდამი ამაო არ იყო. მათ მაგრძნობინეს ის, რაც ჩემთვის ერთად-ერთი მანუგეშებელია—ისა, რომ ყველა მამაკაცი ჩემი ძმაა, ქალი ჩემი და და მთელი მსოფლიოს ბავშვები კი—ჩემი პატარა შვილები".

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

23 აპრილი.

## საზღვარ-გარედ

**ათინა.** საბერძნეთის მეფის მკვლელი სხინასი სასამართლოს შენობის ფანჯრიდან გადმოვარდა და მოკვდა.

## ომი და სახელმწიფონი

**ვენა.** პარლამენტის გერმანელთ-საეროვნო კავშირის ბიურომ მსჯელობა იქონია გარეშე პოლიტიკის კრიზისზე. ბიურომ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც უკმაყოფილებაა გამოთქმული კრიზისის გაჭიანურებაზე; კრიზისის ხანგრძლივობა ცუდად ჰმოქმედებს მონარქიის პრესტიჟზე და მძიმე ტვირთად აწვება ხალხსაო. ბიურო კრიზისის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს.

**ლონდონი.** პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტის კერძო ცნობით, ელჩთა თათბირმა დიდის სიამოვნებით მიიღო სკუტარის განთავისუფლების გადაწყვეტილების ცნობა. დაადგინეს, სკუტარი საალყო მეზღვაურებმა დაიჭირონ. სკუტარის ოკუპაციაში ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობას. სკუტარის ჩაბარებისთანავე უმალვე მოიხსნება ბლოკი და ჩერნოგორიას მიეცემა დრო, გამოიტანოს სკუტარიდან საომარი სურსათი, სანოვაგე, ზარბიზნები და სხვა. დამოუკიდებლივ გამოსვლის შიში აღარ არის. ელჩთა თათბირის მსჯელობის საგანი იქნება ალბანეთის ორგანიზაციის საკითხი; ეს საკითხი, სახელმწიფოთა აზრით, საერთაშორისოა. ჩერნოგორიის საკითხი სკუტარის განთავისუფლების შემდეგ განიხილება.

**ბელგრადი.** „სამოუპრავა" აღნიშნავს: თუ ჩერნოგორია დაემორჩილა დიდ სახელმწიფოთა სურვილს და გაანთავისუფლა სკუტარი, იგი მიიღებს ფულის და ტერიტორიის კომპენსაციას; წინააღმდეგ შემთხვევაში ალბანეთში ავსტრიის და იტალიის ჯარი შევა; გაზეთის აზრით, ჩერნოგორია უნდა დაჰმორჩილდეს ამგვარ გადაწყვეტილებას და მიიღოს კომპენსაციები. გადამწყვეტ წუთში სწორე და ღირსეული გამოსვლა გაჭირვებულ მდგომარეობიდან იგივეა, რაც ძლევამოსილი ბრძოლა ბრძოლის ველზე.

**ვენა.** გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ სკუტარის განთავისუფლების ცნობას და დასძენენ, კომპენსაციებზე ლაპარაკიც მეტია. „ნეიე-ფრ.-პრესე" სწერს: ავსტრია-ჰნგრეთი მიიღებს ჩერნოგორიის წინადადებას იმ შემთხვევაში, თუ იგი მისცემს პირველს საკმაო უზრუნველყოფას, რომ მეორედ არ შეეძლება სკუტარის ან ალბანეთის სხვა ადგილების დაჭერა. „ცეიტი" ამბობს: ავსტრიის დიპლომატიამ იმ შედეგს მიაღწია, რაც მონარქიის გადაჭარბებულად დახარჯულ ძალას სრულიად არ ეთანხმება; ჩერნოგორია აღარ იღებს მონარქიის სერიოზულ მუქარას.

**ცეტინიე.** კრიზისი, რომელიც დაკავშირებული იყო სკუტარის საკითხთან, დიდ სახელმწიფოთა სურვილისამებრ მოსპობილია. ჩერნოგორიამ აცნობა: სკუტარს დიდ სახელმწიფოებს აძლევს. მეფემ გაუგზავნა ელჩთა თათბირის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა: „ჩემმა მთავრობამ 17 აპრილის ნოტაში აღნიშნა სკუტარის საკითხში მოქმედების ძირითადი დებულებანი. ეს საქციელი ნაკარნახევი იყო უფლების შეურყეველი პრინციპებით. ჩემი საკუთარი ღირსება და ღირსება ერისა ნებას არ მაძლევდა დავმორჩილებოდი განცალკევებულ მოთხოვნილებებს, ამისთვის სკუტარის ბედის გადაწყვეტას ვანდობ დიდ სახელმწიფოებს".

გენერალ მარტინოვიჩის კაბინეთი თანამდებობიდან გადადგა. იგი თანაგრძნობით არ ეკიდება ამ ნაბიჯს. მეფემ კაბინეტის გადადგომა შეიწყნარა.

**ალექსანდრია.** სომეხთა მოსახლეობამ მიტინგი გამართა. მიტინგს 300 კაცი დაესწრო, მათ შორის სტამბოლის სომეხთა ორი წარმომადგენელიც. გადაწყვიტეს შუამდგომლობა აღძრან ოსმალეთის მთავრობის წინაშე სომეხთა ვილაიეტების საადმინისტრაციო დეცენტრალიზაციაზე.

**ლონდონი.** პრესა სიამოვნებას გამოსთქვამს სკუტარის საკითხის გადაწყვეტის გამო. „ტაიმს"-ის მეთაური შემდეგი სიტყვებით თავდება: ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი; მაგრამ მას შემდეგ რაც დიპლომატებმა ღირსეულად გადასწყვიტეს ერთი საკითხი, მეორე მათ ველარ შეაშფოთებს. დიპლომატებმა დიდი სამსახური გაუწიეს ევროპას და ეჭვს გარეშეა თვისი პრესტიჟი აღადგინეს.

**ვენა.** გაზეთები აღნიშნავენ: ავსტრია-ჰუნგრეთს დ იტალიას აზრად აქვთ ალბანეთის შესახებ პროგრამა შეთანხმებულად განახორციელონ. როგორც ეტყობათ სამხედრო ექსპედიციის აზრი დაივიწყეს. „ნეიე-ფრეი-პრესე" დიდი მომხრეა იტალიასთან კავშირისა, მაგრამ ექსპედიციის წინააღმდეგ ილაშქრებს, რადგანაც ამას შეუძლიან იტალიასა და ავსტრია-ჰუნგრეთის ურთიერთობის გამწვავებაო.

**ვენა.** „პოლიტიშე - კორესპონდენცი" იუწყება: პალიჩის საქმისა და ძალათ მართმადიდებლობის მიღებაზე ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობა სამ მოთხოვნილებას აყენებს: კათოლიკეთა ეკლესიის აგება, რომლის კურთხევასაც უნდა დაესწრონ ჩერნოგორიის მთავრობის წარმომადგენლები, პალიჩის დამარხვას უნდა დაესწროს ჩერნოგორიის მთავრობა, იმ კათოლიკებს, რომელთაც ძალადობის გავლენით გამოიცვალეს სარწმუნოება და ხელახლად მოისურვეს ძველი სარწმუნოების მიღება, უნდა მიენიჭოთ უფლება თავისუფლად ამოირჩიონ საცხოვრებელი ბინა, აგრეთვე საზღვარ-გარეთ წასვლის უფლებაც უნდა უზრუნველყოფილი იყოს. ჩერნოგორიის მთავრობამ ეს მოთხოვნილებანი მიიღო.

**სტამბოლი.** ოსმალეთის დელეგატები ოსმან-ნიზამ ფაშა, ბატცარია-ეფენდი და ედიბ-ბეი ლონდონში წავიდნენ.

**ბელგრადი.** სერბიის დელეგატი ნოვაკოვიჩი ლონდონში წავიდა.

## სესხის საკითხი ჩინეთში.

**პეკინი.** ქვედა პალატამ განიხილა სახელმწიფოს სესხის საკითხი. იგი პრინციპიალურად არ ეწინააღმდეგება სესხის აღების საკითხს, მაგრამ მთავრობის მოქმედება ამ შემთხვევაში უკანონოდ სცნო. დაადგინა სესხის ხელშეკრულება უკანვე დაუბრუნოს მთავრობას. პროვინციებიდან პროტესტები ისმის სესხის წინააღმდეგ. სამხრეთელთა უკმაყოფილება მთავრობისადმი იზრდება.

## ხომალდის დაღუპვა.

**ლისაბონი** გენდოგოს კონცხთან დაიღუპა მეთევზეთა ხომალდი. დაიხრჩო 20 კაცი.

**ტოკიო.** გამოცხადებულია კანადის და აზიაში ინგლისის კოლონიების შეერთება იაპონია-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულებასთან.

იაპონიის ემიგრაცია კანადაში შეზღუდულია.

## შეთქმულების აღმოჩენა.

**პარიზი** ესპანიის მეფის მოსვლის გამო სამხრეთ საფრანგეთში ჩხრეკა და დაპატიმრება ხდება: „მატენ"-ის სიტყვით ბარსელონაში შეიპყრეს კორესპონდენცია; ამით აღმოაჩინეს ანარქისტების შეთქმულება. დააპატიმრეს ორი ესპანელი.

## რ უ ს ე თ ი.

**ადესა.** სამართალში მისცეს ბაპტიზმის მოძღვრების მქადაგებელი პავლოვი. მას ბრალსა სდებენ მართლმადიდებელთა სექტანტობით შერყვნას; სასამართლომ ერთი თვის ციხე მიუსაჯა.

ამავე მიზეზით სამართალში მიცემული არიან ბლაკოვი და კრავჩენკო.

**პოლტავა.** სენატორმა შულგინმა ოთხი საათის განმავლობაში ჩვენება ჩამოართვა ვიცე-გუბერნატორს გოლოლობოვს და სხვა პირებს კუზნეცოვის საქმის გამო. სენატორი ეკატერინოსლავში წავიდა გამოსაძიებლად.

**პეტერბურგი.** დაბრუნდა მიწათმოქმედების მთავარი გამგე.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „რუსკოია მოლვა"-ს მე-130 ნომერი.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.


# გამოსადეგი ცნობა

## უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 725). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

# განცხადებანი

**ვყიდი** სააგარაკო მამულს გორის მაზრ. სოფ. ახალქალაქში; ოთხი ოთახი, მშვენიერი და მოხდენილი ბაღით. შიგ ბაღში გამოდის სასიამოვნო და სუფთა წყალი. ნამდვილი საგარაკო ადგილია.
245 **დავით გოგბერიძე.**

დოქტორი მედიცინისა
**გ. ა. ახვერდოვი,**
**პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს სამშრდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

**ექიმ ნავასარდიანის**
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
**„606" და „914"**
**11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა**
**კონსულტატიურად.**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

გამოსულია და იყიდება
**ი. გედევანიშვილის** პიესა
**„მ ა მ ც ე მ ი"**
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**სამკურნალო გოგირდის აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა",**
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე
**ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოველმხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

**СИРОЛИНЪ "РОШЪ"**
**სიროლინი „როშ"-ი**
ბავშვებისა და მოზრდილთათვის ნაცადი, დამამშვიდებელი, გამხსნელი საშუალება ახალ თუ დაძველებულ ყაზზობისა, ყივანახველისა, ინფლუენციისა, ხველებისა, ფილტვების ანთების შემდეგ.
**უზრუნველმყოფელია**
**ჭლექის წინააღმდეგ,**
**მადას აუმჯობესებს, ნარკოტიულ ნივთიერებთაგან განწმენდილია, გემო სასიამოვნო აქვს.**
იყიდება ყველა აფთიქსა და სააფთიაქო მაღაზიებში.
მოითხოვეთ უსათუოდ **სიროლინი „როშ"** ქარხნის ორიგინალურ გასახვევით.


20674 1136.

**განსაკუთრებით ქალების საერთო**
**ა ხ ა ლ ი ა ბ ა ნ ო**
ბუნებრივი გოგირდის წყალი, ორი ცხელი ვანით, საგრილობელით, ელექტრონის განათებით და ყოველგვარ ახალ სატეხნიკო მოწყობით. ფასი შაურიდან სამ შაურამდე. ვორონცოვის ქუჩაზე, მარჯვნით სუფ-სარქისის შესახვევი, მეხუთე საპოლიციო ნაწილის პირდაპირ, № 4.
**ა. ბ. მურსაქულოვისა.** 240

ხელის მოწერით გამოიცემა **ე. ზოლას**
**„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში"**
**ი. გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს** ნათარგმნი.
**დაკვეთა შეიძლება: ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში", **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კაჭკაჭში**—მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში", **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.
**„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში"** „მოამბის" ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა



Метцль 148198. 1122

**ფეხსაცმელები**
**თომა დ. ჯანყარაშვილის**
**მაღაზია-სახელოსნოში.**
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.

მექანიკური ნაწარმოები. 170.


პარიჟის სულ ახალი ფასონები
**კორსეტებისა**
1168.

გამოსულია და იყიდება
**ნ. შიუკაშვილის** პიესა
**„მეგობრობა",** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პრობით.**

200 მანეთიან ოქროს საათის ნაცვლად გირჩევთ შეიძინოთ **ხრონომეტრი**, მხოლოდ **4 მ. 70 კ.**, რომელიც თავის ფორმით და სილამაზით არ ჩამოუვარდება ოქროს საათს, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტი ძლივს გაარჩევს მას ნამდვილ ოქროსაგან. საათის მუყვანილობა ... ჯერცხლის მანეთიანის სისქისა; გაკეთებულია ნამდვილ ამერიკულ ოქროთი; იგი არა ჰკარგავს თავის პირველ სახეს, ორიგინალური სურათებით. (ნახეთ სურათ.) საათი **ხრონომეტრი** კაცისა ან ქალისა, გაჩერდება თავისი სისწორით, ნამდვ. ანკერნ. 40 საათში ერთხელ იმართება 15 ქვიანია. მსურს რაც გავავრცელო ჩემი ფირმა პრემიის სახით ყოველ საათთან ერთად უფასოდ ვგზავნი 20 ძვირფას ნივთს. 1. ნამდვილი ამერიკული ოქროს მეწკვი, 2. შინა კინემ. საინტერესო ქალების სახეებით, 3 საათის ზამშის ბუდე 4 საათის ქურდებისაგან გასაფრთხილებელი, 5—8. ჯიბის ტ ... ბუდე გზაში საჭირო ნივთებისათვის, თონ ოთხი საჭირო ნივთი იქნება, 9. საზღვარგარეთ ნაკეთები პორტმანი 7 განყოფილებით, 10. შემკვეთელის გვარის, სახელის და მამის სახელის ბეჭედი; 11. ბეჭდისთვის საღებავი ფლაკონით, 12 ბეჭედი ნამდვილ ამერიკულ **დუბლესი**, 13. პარიზული პლასტოგრამა, რომელიც დანა დვილებით აჩვენებს ბუნებრივ ყოველნაირ აზნაურობას. 14—19 ექვსი საინტერესო სურათი შასთან ერთად, 20. თეატრის ბინოკლი 4 ახრომ. ჩვეულებრივი ზომისა მინით, რომელიც ორჯულ საგნებს ფრიად ახლოს აჩვენებს. მხოლოდ 4 მ. 70 კ., ორი საათი 9 მ. 40 კ. ესეთივე უხმო საათები 5 მან. 70 კაპ. ორი—11 მ. 20 კ., პასუხს ექვსი წლით ვაგებ; ვგზავნი ფასდადებით უბეოდ. გაგზავნა 40 კ., ციმბირში 75 კ., მისამართი: საათების საწყობი И. Штрумфельд, Варшава, Электоральная 11 отд. 54. Метцль 2 663. 1135.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
**ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა**
გამოხული ქერჩის
**სელიოტკები,**
და ყოველგვარი
**კონსერვები.**
თევზის მრეწველნი
**ძმ. მეგელოვები.**
3-ში ... ხ. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

**ე. ა. ცატუროვის**
**დ ე პ ო**
სასახლის ქუჩა, ტელეფ. № 238.
რადგანაც ახლო მომავალში სალამოჩ განყოფილების შეკეთება მოხდება და სახლისეულიც დიდძალი შეგროვდა,
**22 აპრილიდან—4 მაისამდე** დანიშნულია
**დიდი იაფი ვაჭრობა**
ნავთის ლამპებისა, ელექტრონის არმატურისა | ჭაღები, მაგიდის ლამპები, ბრა, ხელსაწყო და სხვ. | და ბრინჯაოს მშვენიერად ნაკეთი ნივთები.
**ფასები დაკლებულია 20—40%-ით.**
1166